პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 49
(7360)
12
1983 წ.
მარტი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

GENS UNA SUMUS

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები

●

● სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

გამოცდილებამაც და ახალბედებმაც

თბილისი. სპორტის სასახლე. 10 მარტი.

სპი — ასკ (კიევი) 30:23 (14:10).

სპი: ბარამიძე, ბულია, ნავროზაშვილი, ხარიბეკოვი, ბერიაშვილი (9), ჩიბირაშვილი, დოლიძე (4), ტაბიძე (4), დემეტრაშვილი (3), ანპილოგოვი (6), კახიანი (4).

ასკ: კონოპასტნი, ტერმეცი, ზუბიუკი (1), ხოდუნი (3), ნემაშკალო, გერცენი (1), პოდუფალოვი (4), ლეონტიევი (2), გერია (3), ბელოუსოვი (1), კლიმენკო (1), გრიბელნი (1), ბუდანოვი (6), პანჩენკო.

მსაჯები: რ. სარქისიანი, ა. არევშატიანი (ორივე — ერევანი).

ორი წელიწადია თბილისის „ბურევესტნიკი", რომელიც ახლა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სახელით გამოდის, ჩამოსცილდა მედლების მაძიებელთა რიგებს, მიმდინარე ჩემპიონატში კი მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა. თუ ადრე საკავშირო ჩემპიონატის დებულების ის ნაწილი გვაინტერესებდა, სადაც საპრიზო ადგილების განაწილებაზე იყო საუბარი, ახლა იძულებულნი ვართ სხვა პუნქტებშიც ჩავიხედოთ. ხელბურთის მოყვარულებმა იციან, რომ ორი წრის შემდეგ უმაღლესი ლიგის 12 გუნდი ორ ჯგუფად დაიყო. პირველი ექვსეული საპრიზო ადგილებს გაითამაშებს, მეორე კი — VII-XII ადგილებს. ამ ეტაპზე მეორე ქვეჯგუფის წარმომადგენლები ორ ტურს გამართავენ (II ტური ლენინგრადშია დანიშნული.) ბოლო, XII ადგილზე გასული გუნდი უმაღლეს ლიგაში ადგილს დაუთმობს I ლიგის გამარჯვებულს. ის გუნდები კი, რომლებიც X-XI ადგილებს დაიკავებენ, I ლიგის II და III პრიზიორებთან ერთად უმაღლესი ლიგის ორი ადგილისთვის იბრძოლებენ.

ნათელია, რომ ასეთ სიტუაციაში თითოეულ მატჩს, თითოეულ ქულას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. გულშემატკივართა აქტიური მხარდაჭერით გამხნევებულმა მასპინძლებმა აღმავლობით ჩაატარეს ტურის მეორე შეხვედრაც და დიდი უპირატესობით დაამარცხეს კიეველთა გამოცდილი კოლექტივი. სასიამოვნოა, რომ ვეტერანებთან ერთად ახალბედებმაც გამოიჩინეს თავი. განსაკუთრებით აქტიურობდა კახიანი, რომელიც სასტარტო შვიდეულში გამოდის (ამ შეხვედრაში სწორედ კახიანმა გახსნა ანგარიში). პირველი ტაიმი თბილისელებმა ოთხქულიანი უპირატესობით მოიგეს და როგორც კი განახლდა თამაში, ცხადი გახდა, რომ მდგომარეობის გამოსწორება არმიელთა ძალებს აღემატებოდა. მე-15 წუთისთვის სპი უკვე 10 ქულით დაწინაურდა (24:14), ქართველი ხელბურთელები საიმედოდ იცავდნენ საკუთარი კარის მისადგომებს და შედეგიანად თამაშობდნენ თავდასხმაში. მატჩის დასკვნითი ნაწილი ანპილოგოვთან, დოლიძესთან, ბერიაშვილთან ერთად მშვენივრად ჩაატარა ახალგაზრდა დემეტრაშვილმა, კარგად ჩაერთო თამაშში ბულიაც. ერთი სიტყვით, ჩვენს გუნდში რამდენიმე იმედისმომცემი ხელბურთელი გამოჩნდა, თუმცა, ცხადია, მათ ჯერ კიდევ აკლიათ გამოცდილებაც და ოსტატობაც. ქართული ხელბურთის ხვალინდელი დღე სწორედ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება ამ ჭაბუკების დაოსტატება და საერთოდ, რეზერვებთან მუშაობა. სპეციალისტებს, ბავშვთა ხელბურთში დასაქმებულ მწვრთნელებს ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი.

ბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ბარამიძის სტაბილური თამაში. თბილისელთა მეკარე ამ მატჩშიც საიმედოდ მოქმედებდა და სპეციალური პრიზიც დაიმსახურა. სტუმართაგან საუკეთესო მოთამაშის პრიზი გადაეცა ბუდანოვს. ეს პრიზები, რომელიც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატმა დააწესა, ყოველი თამაშის შემდეგ გადაეცემათ საუკეთესო სპორტსმენებს.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ფიზკულტურის ინსტიტუტი (კრასნოდარი) — „ცელტნიექსი" (რიგა) 27:22 (11:5), „პოლიოტი" (ჩელიაბინსკი) — „ნევა" (ლენინგრადი) 27:22 (15:10).

ბ. ელგუჯაური.

გუშინ გაიმართა მორიგი შეხვედრები: „ცელტნიექსი" (რიგა) — ასკ (კიევი) 26:16, ფიზკულტურის ინსტიტუტი (კრასნოდარი) — „ნევა" (ლენინგრადი) 29:25, სპი — „პოლიოტი" (ჩელიაბინსკი) 29:30.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 მარტისთვის
VII — XII ადგილები

სკიფი	8	5	12	586—612	21
„პოლიოტი"	8	2	14	627—629	18
ასკ (კიევი)	8	2	14	586—635	18
„ნევა"	7	2	15	677—757	16
„ცელტნ."	5	4	15	601—675	14
სპი	6	1	17	614—715	13

• • •

სურათზე: დემეტრაშვილი (ნახტომში) მორიგი გოლი გააქვს კიეველთა კარში.

ე. ხუცურაულის ფოტო.

ღირსეული მეტოქენი

დღეს ლვოვში საზეიმოდ გაიხსნება ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩი ნ. გაფრინდაშვილსა და ი. ლევიტინას შორის. ორთაბრძოლის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი ვერა ტიხომიროვა (მოსკოვი) გამართავს კენჭისყრას, რომელიც გაარკვევს თუ ვინ უნდა ითამაშოს თეთრებით პირველი და მომდევნო ყველა კენტი პარტია. პირველი პარტია ხვალ, 13 მარტს შედგება.

სურათზე: საუბრობენ ირინა ლევიტინა (მარცხნივ) და ნონა გაფრინდაშვილი. გადაღებულია სსრ კავშირის 39-ე ჩემპიონატის (თბილისი, 1979 წ.) დღეებში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

— ბავშვობიდან ვოცნებობდი ნონასავით მეთამაშა ჭადრაკი. წარმოიდგინეთ რა ბედნიერი ვიყავი, როცა ჩემი კერპი გავიცანი. მერე ორ საჭადრაკო ოლიმპიადაზე ერთ გუნდში გამოვდიოდით. ახლა კი მასთან შეხვედრაში უნდა გადაწყდეს შემიძლია თუ არა ბრძოლა პრეტენდენტობისთვის. ძალიან მძიმე გამოცდა მელის, — თქვა ირინა ლევიტინამ, როცა შეიტყო, რომ მეოთხედფინალურ მატჩში ნონა გაფრინდაშვილს უნდა შეხვედროდა.

— ნარეკლიანი გზა ყოველთვის ჩემი ხვედრია, — თქვა ნონამ კენჭისყრის შემდეგ, — ირინა ძლიერი და გამოცდილი დიდოსტატია.

მართლაც, ღირსეული მეტოქენი ხვდებიან ერთმანეთს.

ირინა ლევიტინა (8. VI. 1954) მესამედ იბრძოლებს პრეტენდენტობისათვის. პირველად, მსოფლიო პირველობის 1972-1975 წლების გათამაშებაში, მან ნახევარფინალში ვ. კოზლოვსკაია დაამარცხა (6,5:5,5), მერე ფინალში ნ. ალექსანდრიას შეხვდა. ეს მატჩი ქალთა მსოფლიო პირველობის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი (17-პარტიიანი) აღმოჩნდა. ლევიტინამ წააგო (8:9), მაგრამ მომავლისთვის პრეტენდენტის უფლებები შეინარჩუნა. მეორედ (1975-1978 წლების გათამაშებაში) ირინა დამარცხდა (3:6) პირველსავე მატჩში ა. კუშნირთან და ბრძოლას გამოეთიშა.

(დასასრული მე-4 გვ.).

მაია — იუგოსლავიაში

ბელგრადში მიმდინარეობს 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. 12 მონაწილეს შორის ასპარეზობს მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე.

4 ტურის შემდეგ მაიას 2 ქულა აქვს და ლიდერთა ჯგუფშია.

შეჯიბრება 18 მარტს დამთავრდება.



სტარტზეა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატი

დღეს იწყება საქართველოს სსრ 1983 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში. გათამაშებაში მონაწილე I ჯგუფის გუნდები დაყოფილი არიან აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად. უამინდობის გამო დასავლეთ ზონაში პირველი ტურის შეხვედრები გადაიდო და შეჯიბრება 19 მარტს უნდა დაიწყოს II ტურის მატჩებით. აღმოსავლეთ საქართველოში პირველი ტურის შეხვედრები გაიმართება 12 და 13 მარტს. ტურის კალენდარი ასეთია:

12 მარტი

„ავტომობილისტი" (თბილისი)— „ჰერეთი" (ლაგოდეხი)

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი)

„სპარტაკი" (თბილისი) — „კახეთი" (თელავი)

„სამგორი" (გარდაბანი) — „ივერია" (ხაშური)

„დურუჯი" (ყვარელი) — „მეტალურგი" (რუსთავი)

13 მარტი

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მადნეული" (ბოლნისი)

„ავიატორი" (თბილისი) — „ქართლი" (გორის რაიონი)

„არმაზი" (მცხეთა) — „სპარტაკი" (ცხინვალი)

„ალაზანი" (გურჯაანი) — „თორი" (ბორჯომი)

თბილისის „ავტომობილისტისა" და ლაგოდეხის „ჰერეთის" შეხვედრა „სინათლის" სტადიონზე დაიწყება 15 საათზე. თბილისის „სპარტაკი" და თელავის „კახეთი" 15 საათზე ითამაშებენ „ლოკომოტივის" ბაზაზე დილომში.

13 მარტს 12 საათზე პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი ბოლნისის „მადნეულს" მიიღებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე, ხოლო გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე 14 საათზე დაიწყება თბილისის „ავიატორისა" და გორის რაიონის „ქართლის" მატჩი.

სტადიონებზე — სანიმუშო წესრიგი და დისციპლინა!

როგორც ვიუწყებოდით, თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მიეძღვნა საზაფხულო სპორტული სეზონისათვის სპორტული ბაზებისა და ნაგებობების მზადყოფნის, სპორტულ-მასობრივი ღონისძიებათა ჩატარების დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სპორტული მუშაკები, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები, სპორტულ ნაგებობათა დირექტორები, რესპუბლიკის ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელთა გუნდების მწვრთნელები, ამ შეჯიბრების მომსახურე მსაჯები.

თათბირზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში მოქმედთა მწყობრში ჩადგა თანამედროვე, მოხერხებული, ბევრ შემთხვევაში კი უნიკალური სპორტული ნაგებობანი. დღეს სპორტული ორგანიზაციების მუშაკთა წინაშე დასახულია ამოცანა ჩააყენონ ისინი ხალხის სამსახურში, გადააქციონ ჯანმრთელობისა და კულტურის კერებად. მაყურებელთან გააზრებული და მრავალმხრივი მუშაობისა და სანიმუშო წესრიგისათვის ბრძოლის კარგი გამოცდილება შეიძინა თბილისის სპორტის სასახლის კოლექტივმა. აქ შეჯიბრებებიც მაღალ სპორტულ და ორგანიზაციულ დონეზე ტარდება და მაყურებელიც საინტერესო, კვალიფიციურ ინფორმაციას იღებს.

სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები იშვიათია. როგორც თათბირზე აღინიშნა, სერიოზული ნაკლოვანებებია ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე. ეს მასშტაბური და ხანგრძლივი შეჯიბრებაა. მასში 81 გუნდი მონაწილეობს, რომელთა შორის შარშან სულ 1350 მატჩი გაიმართა. რესპუბლიკის ჩემპიონატმა ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდა ფეხბურთელებისა და გუნდების ოსტატობის შემდგომ ზრდას. ამავე დროს, ამ ტურნირების ორგანიზაცია და ჩატარება საფუძვლიან საყვედურს იწვევს. აქ ხშირია დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. შარშანდელ სეზონში სხვადასხვა დარღვევისათვის მინდვრიდან გააძევეს 57 ფეხბურთელი. 371 სპორტსმენმა გაფრთხილება მიიღო. მსაჯობის ოქმები მოწმობს, რომ დაბალი დისციპლინაა გალის „მზიურის", გორის „ქართლის", თბილისის „ავტომობილისტის", ბორჯომის „თორის" გუნდებში. უკეთესად არ არის საქმე მთელ რიგ სხვა კოლექტივებშიც. ცუდად იღებენ ჩამოსულ გუნდებს და სათანადო წესრიგს ვერ უზრუნველყოფენ ხობის, მცხეთის, ბოლნისის, გორის, ცაგერის სტადიონებზე.

სერიოზული პრეტენზიები გამოითქვა აგრეთვე იმ მსაჯების მისამართით, რომლებიც რესპუბლიკის პირველობას ემსახურებიან. მაყურებელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა მათი დაბალი კვალიფიკაცია, არასაკმაო მომთხოვნელობა და უპრინციპობა, ზოგ შემთხვევაში კი მიკერძოებული მსაჯობა.

სპორტული ორგანიზაციების, კერძოდ, რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციისა და მისი მსაჯთა კოლეგიის წინაშე დასახულია ამოცანა უფრო გულდასმით მოამზადონ და შეარჩიონ მსაჯები, რომლებიც საქართველოს პირველობას ემსახურებიან.

მაგრამ არ შეიძლება ყველაფერი მსაჯებს დავაბრალოთ, მათი შეცდომებით დავფაროთ მწვრთნელთა ცუდი მუშაობა, სპორტსმენებსა და სპორტის მოყვარულთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხარვეზები. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ხშირია შემთხვევები, როცა ადგილობრივი ორგანიზაციები, იმის მაგივრად რომ წესრიგი დაიცვან და ხელი შეუწყონ თამაშის ნორმალურ მსვლელობას, — თავიანთი დაუსაბუთებელი პრეტენზიებით და პროტესტებით ხელს უწყობენ აჟიოტაჟის გაღვივებას და საბოლოო ანგარიშით უწესრიგობის წარმოშობას.

აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილება მოითხოვს ორგანიზებულად ჩავატაროთ ყოველი მასშტაბის შეჯიბრება.

• • •

სურათებზე: მიმდინარეობს საზაფხულო სპორტული სეზონისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური თათბირი; ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ნ. რუსაკი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

დოსააფელ სპორტსმენებთან

მეტი მომთხოვნელობა!

მიმდინარე წლის 16-17 თებერვალს კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართულმა დოსააფის IX საკავშირო ყრილობამ დიდი ამოცანები დაუსახა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობ ლენინისა და წითელი დროშის ორდენოსან ნებაყოფლობით საზოგადოებას.

ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სპორტის სამხედრო-ტექნიკური და გამოყენებითი სახეობების შემდგომ მძლავრ განვითარებას.

დოსააფელი სპორტსმენები უკვე შეუდგნენ წლევანდელი წლის ყველაზე უმნიშვნელოვანესი სტარტებისთვის — სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადისთვის მზადებას.

სპარტაკიადისთვის ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდებიც. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება გავიხსენოთ მათ მიერ წინა საკავშირო სპარტაკიადაზე მოპოვებული გუნდური ადგილები ცალკეული სახეობების მიხედვით:

საპარაშუტო სპორტი — მე-12 ადგილი, სავერტმფრენო სპორტი — მე-5, ავიამოდელიზმი — მე-10, ავტორალი — მე-9, ავტომრავალჭიდი — მე-9, ავტოსაგზატკეცილო წრიული რბოლა — მე-5, კარტინგი — მე-6, ავტომოდელიზმი — მე-5, მოტოკროსი — მე-10, მოტოსაგზატკეცილო წრიული რბოლა—მე-8, მოტორბოლა იპოდრომზე—მე-5, მოტოკროსი—მე-5, მოტობურთი — მე-10, საწყალოსნო სამოტორო სპორტი — მე-12, წყალქვეშა ცურვა — მე-11, წყალქვეშა ორიენტირება — მე-12, საზღვაო მრავალჭიდი — მე-6, გემსამოდელო სპორტი — მე-7, რადიოპელენგაცია („მელიებზე ნადირობა") — მე-7, რადიოგრამების მიღება-გადაცემა — მე-7, რადიომრავალჭიდი — მე-7 და სამხედრო გამოყენებითი მრავალჭიდი—მე-8. სათვითმფრინავო და საპლანერო სპორტში ჩვენი რესპუბლიკის გუნდი საერთოდ არ გამოსულა ასპარეზობაზე.

საქართველოს დოსააფელმა სპორტსმენებმა სულ 259 ქულა მოაგროვეს და გუნდურ ჩათვლაში მეათე ადგილით დაკმაყოფილდნენ. პირად პაექრობაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ალექსანდრე ლარინი (მოტოსპორტი), პრიზიორები: ნუცუბიძე (გემსამოდელო სპორტი), ნებიერიძე (ავტომოდელიზმი), დგებუაძე (ავტოსპორტი). VII სპარტაკიადაზე სხვებთან შედარებით უკეთ იასპარეზეს ავტომოდელისტებმა, მოტომრავალჭიდელებმა, კარტინგისტებმა, გემმოდელისტებმა, რადიოსპორტსმენებმა, საზღვაო მრავალჭიდელებმა და სავერტმფრენო სპორტის ოსტატებმა. დანარჩენ სახეობებში არადამაკმაყოფილებელი შედეგები იქნა მოპოვებული.

ეს, რაც შეეხება წარსულს. სამიოდე თვის შემდეგ კი VIII საკავშირო სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები დაიწყება. სამ თვეში გუნდების ან სპორტსმენების გარდაქმნა არ მოხერხდება, მაგრამ თუ გვინდა უკეთესი შედეგები გვქონდეს, დარჩენილი მცირე დროც მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ჩვენმა სპორტსმენებმა და გუნდების ხელმძღვანელებმა.

VIII საკავშირო სპარტაკიადაზე ზემოთ ჩამოთვლილი სახეობების გარდა ჩვენი რესპუბლიკიდან ფინალურ შეჯიბრებაში იასპარეზებენ აგრეთვე დელტაპლანერისტები, სათვითმფრინავო სპორტის სახეობის ნაკრები. კვლავ არ გვყავს გუნდი საპლანერო სპორტში.

თუ გადავხედავთ დოსააფის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზებს, იგი დღითიდღე იზრდება.

ბოლო სამი წლის მანძილზე მომზადდა ორი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 53 სპორტის ოსტატი და ოთხი ათასზე მეტი თანრიგოსანი სპორტსმენი, გაუმჯობესდა მშთ ნიშნოსანთა მომზადების საქმე.

გასულ წელს სამხედრო-ტექნიკური და გამოყენებითი სპორტის სახეობების განვითარების მხრივ რესპუბლიკამ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეოთხე, ხოლო საერთო მაჩვენებლით მესამე ადგილი დაიკავა.

ჩვენმა სპორტსმენებმა და მწვრთნელებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისთვის, რომ წელს სასურველი შედეგები მოიპოვონ სსრ კავშირის ხალხთა VIII საკავშირო სპარტაკიადაზე. მეათე ადგილი არამც და არამც არ შეეფერება ჩვენი რესპუბლიკის მდიდარ სპორტულ ტრადიციებს.

გ. ბარჯაძე,
(„ლელოს" კორ.).

ახლოვდება
სსრ კავშირის
ხალხთა
VIII სპარტაკიადის
ფინალური სტარტები

ემზადებიან ავტომოდელისტები

ავტოსამოდელო სპორტში სსრ კავშირის 1982 წლის ჩემპიონობა მოიპოვეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა პ. შარიფაშვილმა და მისმა დამრიგებელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა, ავტოსამოდელო სპორტის სექციის ხელმძღვანელმა თენგიზ ლატარიამ. ეს შეჯიბრება გაიმართა ქიმიკოსთა ქალაქ რუბეჟნოეში, სადაც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ სპორტსმენ-ავტომობილისტები, ჭაბუკთა პირველობა ერთდროულად ახალგაზრდობის III საკავშირო სპორტული ასპარეზობის ფინალიც იყო.

ახალ კორდოდრომზე შეჯიბრების 98 მონაწილემ ტექნიკურ კომისიას წარუდგინა 128 სხვადასხვა ტიპისა და კლასის მოდელი — უბრალო, 2,5 კბ სმ მოცულობისძრავიანი აერომობილი, აპარატურა და რთულ მექანიზმებიანი ფიგურული კურსის რადიოსამართავი მოდელები.

თავისი მანქანა ბრწყინვალედ გაატარა რვიანებით, ჩიხებითა და საგაბარიტო ჭიშკარში შესასვლელით გართულებულ ასმეტრიან ტრასაზე თბილისელმა პ. შარიფაშვილმა. მისი შედეგი — 30,9 წამი — ვერავინ გააუმჯობესა. შარშანდელი შედეგების მიხედვით პ. შარიფაშვილი ქვეყნის ათ საუკეთესო სპორტსმენს შორის დაასახელეს, ხოლო რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი თ. ლატარია სსრ კავშირის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს.

* * *

სურათებზე: სპორტის ოსტატები პ. შარიფაშვილი და ნ. ოხინოვსკი საწვრთნელ მეცადინეობაზე; რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი თ. ლატარია და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ვაჟთა და ჭაბუკთა შორის პ. შარიფაშვილი მოდელებს ამზადებენ სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადისთვის; თბილისის კიროვის რაიონის პიონერთა სახლში ავტოსამოდელო სპორტში მეცადინეობას ატარებს სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ნ. ოხინოვსკი.

ი. დავითაშვილის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

უხეშობა ღუპავს თამაშს

„სოვეტსკი სპორტის“ 10 მარტის ნომერში დაიბეჭდა გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის მიხეილ მესხის მეტად საყურადღებო წერილი „უხეშობა ღუპავს თამაშს“, რომელშიც იგი მკაცრად აკრიტიკებს უხეშად, ტლანქად მოთამაშე ფეხბურთელებს. ჩვენი აზრით, მ. მესხის ეს სტატია ეხმაურება ჩვენში დისციპლინის, წესრიგისთვის გაჩაღებულ ბრძოლას, ვინაიდან ფეხბურთში უხეშობა სხვა არაფერია, თუ არა წესრიგის დარღვევა, უდისციპლინობის გამოვლინება. უხეში ფეხბურთელი და ლიბერალი მსაჯი — ესაა ჩვენი ფეხბურთის ერთ-ერთი უმთავრესი ნეგატიური მხარე, რომელიც ულმობლად უნდა აღმოიფხვრას.

მ. მესხის წერილში მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა წამოჭრილი, მის გადასაჭრელად უნდა იბრძოლოს ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია ფეხბურთი.

ფეხბურთის მრავალი პრობლემიდან, რომელთა წარმატებითი გადაჭრის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი გუნდების წინსვლა და ახალი სიმაღლეების დაპყრობა, ავირჩიე ერთი მეტად საჭირბოროტო, დიდმნიშვნელოვანი საკითხი. ჩემი ღრმა რწმენით, ფეხბურთელთა ტექნიკური ოსტატობის ზრდა უშუალოდაა დაკავშირებული მსაჯობის დონესთან და კლასთან. ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: ჩვენი ფეხბურთი რომ დღეს ღარიბია ნათელი ინდივიდუალობებით, რომ ცოტა გვყავს მსოფლიო კლასის ვარსკვლავები, ამაში მსაჯებსაც მიუძღვით ბრალი. არ იფიქროთ, რომ მე, როგორც ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელი, ვცდილობდე სხვებს დავდო ბრალი. რასაკვირველია, პრეტენზიები ჩვენს მიმართაც საკმარისადაა, მათ მიმართაც, ვინც სპორტულ ფორმას და ბურთებს კერავს ბავშვებისთვის, ახალი საცხოვრებელი მასივების მშენებლობას გეგმავს და ა. შ., მაგრამ ამ შემთხვევაში მინდა ვილაპარაკო იმაზე, რომ როგორ მოიკიდა ფეხი უხეშობამ ჩვენს საფეხბურთო მინდვრებზე მსაჯთა აშკარა ხელშეწყობით, როგორ ზიანდებიან ამის გამო, უპირველესად ყოვლისა, ტექნიკური, მაღალი კლასის მოთამაშეები. ჩვენში ამგვარმა უმგვანმა „მოდამაც“ გაიდგა ფესვები: თუკი ვინმე გაბედავს და გააკრიტიკებს მსაჯს, ამ უკანასკნელს მაშინვე გამოუჩნდებიან ხოლმე დამცველები. მათი აზრით მსაჯის ღირსებას დაცვა ესაჭიროება, მაგრამ საქმეც ისაა, რომ, უპირველეს ყოვლისა, ფეხბურთი უნდა დავიცვათ და არა ასეთი ლიბერალი მსაჯების ღირსება.

როცა სპორტულ სკოლებში მორიგ შევსებას, ბავშვებს ვღებულობთ, მკაცრად ვარჩევთ კანდიდატებს, რთულ გამოცდას ვუწყობთ მათ. გავსინჯავთ ასობით, შევარჩევთ ხოლმე ათეულს, გაივლის კიდევ წლები და რწმუნდები, რომ მათგან მხოლოდ ერთეულები თუ აღიზრდებიან დიდ ოსტატებად, დაატკბობენ მაყურებელს. ეს ბუნებრივია — ამგვარი შერჩევა ხდება ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერ დარგში.

მაგრამ აბა თუ ვინმე დაუფიქრდა იმას, როგორ ხდება არბიტრთა ინსტიტუტის კადრების შერჩევა და არსებობს თუ არა საერთოდ რაიმე კრიტერიუმი მათი შერჩევისა და სრულყოფისათვის?

ცუდია, როცა მსაჯი მორიდებული და გაუბედავია, მაგრამ უფრო ცუდია, როცა იგი მეტისმეტად თვითდაჯერებულია. ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახიფათო ავადმყოფობა, რითაც დაავადებულია მრავალი მსაჯი, და არა მარტო დამწყები მსაჯი, ისაა, რომ იგი დარწმუნებულია თავის ხელშეუხებლობაში. ღრმად სწამს, რომ მას ყველაფრის უფლება აქვს. დაუმატეთ ამას დაბალი კვალიფიკაცია, არაკომპეტენტურობა, რასაც განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით სარაიონო, საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. ვინ ზიანდება ამით? უპირველეს ყოვლისა ტექნიკური, საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილი ფეხბურთელები და საბოლოოდ — მთელი ჩვენი ფეხბურთი, დაწყებული ბავშვთა და მასობრივი თამაშებიდან, გათავებული უმაღლესი ლიგით.

ოსტატად რომ იქცეს, ჭაბუკმა მრავალი წელი უნდა იშრომოს. ასეთი მოთამაშის აღსაზრდელად მწვრთნელი დღენიადაგ უნდა სრულყოფდეს თავის კვალიფიკაციას, უნდა შეისწავლოს მეცნიერების ის დარგები, რომლებსაც, ერთი შეხედვით, საერთო ბევრი არაფერი აქვთ სპორტთან. მსაჯები კი რა? მათი მომზადება და გადამზადება შემოფარგლულია მოკლევადიანი სემინარებით და ეპიზოდური სასწავლო-საწვრთნელი შეკრებებით, რომელიც წელიწადში ერთხელ ან ორჯერ თუ იმართება, სწორედ აქედან გამომდინარეობს მსაჯის სუსტი თეორიული მომზადება და საკუთარი თავისადმი უნდობლობა მინდორზე. შეიძლება ვინმე შემეკამათოს, რომ ყველაფერ დანარჩენს მსაჯი სრულყოფს პრაქტიკის დროს, თამაშში, მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ მსაჯის ასეთი „სწავლა-განათლება“ ერთობ ძვირად გვიჯდება ჩვენ — მოთამაშეებს და მწვრთნელებს. ყოველგვარი მტკიცება, რომ მსაჯობა მხოლოდ საზოგადოებრივი სამუშაოა, თავის გასამართლებლად არ გამოგვადგება. მსაჯებს დიდი სახელმწიფოებრივი საქმე ევალებათ, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ზიანი მივაყენოთ მხოლოდ იმის გამო, რომ იგი საზოგადოებრივ საწყისებზე კეთდება.

დიდად სასიამოვნოა, რომ ჩვენს მსაჯებს შორის არიან მეცნიერი მუშაკები, პედაგოგები, მოწინავე სპეციალისტები, ერთი სიტყვით, პატივსაცემი ხალხი თავიანთ სამუშაო ადგილებზე. დიდება და პატივი მათ იმისათვის, რომ თავიანთ თავისუფალ დროს ფეხბურთს უძღვნიან, მაგრამ ამ თამაშს არა მარტო ვარდები, ეკლებიც აქვს. ამიტომ, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა გადაწყდეს ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხი: როგორ მივაღწიოთ იმას, რომ ფეხბურთის მსაჯთა მომზადების დონე პასუხობდეს სერიოზულ მოთხოვნებს, როგორ მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ადამიანი, ვისაც კი მსაჯის სასტვენი აქვს მინდობილი, თამამად და თანმიმდევრულად იბრძოდეს უხეშ მოთამაშეთა წინააღმდეგ, რომ ყველა, ვისაც კი უყვარს ლამაზი ფეხბურთი, მსაჯში თავის უპირველეს მოკავშირეს ხედავდეს?

უხეში ფეხბურთელები, რომლებსაც მხოლოდ ის ასწავლეს, რომ არ მისცენ თამაშის საშუალება მეტოქეს, ღუპავენ ჩვენს ფეხბურთს, შეურაცხყოფენ ამ ლამაზ თამაშს და მწყობრიდან გამოჰყავთ მისი საუკეთესო წარმომადგენლები. შემიძლია დავასახელო ათეულობით შესანიშნავი ოსტატი, ფედოტოვიდან, ბობროვიდან და პაიჭაძიდან დაწყებული გათავებული გუცაევამდე და ბლოხინამდე, რომლებიც ტლანქი ფეხბურთელების წყალობით ქირურგების პაციენტებად იქცნენ. შემოვიფარგლები მხოლოდ ერთი მაგალითით: თბილისის „დინამოში“ ვლადიმერ გუცაევმა დებიუტის შემდეგ (1972 წელი) ორი სეზონის მანძილზე მხოლოდ ერთხელ გამოტოვა საკავშირო პირველობის მატჩი. მაშინ მას ასე კარგად არ იცნობდნენ და ნაკლებადაც ურტყამდნენ ფეხებში. ახლა კი პოპულარობა და ოსტატობა ძვირად უჯდება გუცაევს: 1980 წლის ჩემპიონატში მან 34-დან, 21 მატჩი გამოტოვა, ხოლო 1982 წელს 34-დან — 22! ასეთია, სამწუხაროდ, მრავალი სხვა ვირტუოზი მოთამაშის ბედი.

ვისგან უნდა ველოდოთ დახმარებას? უპირველეს ყოვლისა, მსაჯებისგან. დღეს რომ მწვანე მინდვრებზე ასე პარპაშებენ „ბინძური თამაშის“ მოყვარულნი, რომლებიც მეტისმეტად არასპორტულად იქცევიან და ვერაგულად ურტყამენ ფეხებში მეტოქეებს — ეს მსაჯების ბრალია. არის დარღვევები, რომელთა შემჩნევისას არ შეიძლება შემოიფარგლო მხოლოდ შენიშვნით ან გაფრთხილებით, უბრალოდ, უხეში ფეხბურთელი მინდვრიდან უნდა გააძევო დაუყოვნებლივ, მაშინვე. აბა, გაიხსენეთ ბევრჯერ გინახიათ, მსაჯს მაშინვე მიემართოს წითელი ბარათისთვის? რა თქმა უნდა, არა!

ბრძოლა სპორტული ეთიკის დამრღვევებთან ჩვენში, ვფიქრობ, არასაკმარისად ეფექტურად და მიზანდასახულად წარმოებს. გუნდების მიერ წესრიგის დარღვევათა ცხრილები, რომლებიც სეზონის ბოლოს ქვეყნდება ხოლმე, ძვირფას ინფორმაციას შეიცავს. ამ ცხრილების მიხედვით შეიძლება ზუსტად დავადგინოთ თუ რომელ გუნდში რა მდგომარეობაა დისციპლინის მხრივ, ჩემი აზრით, კრიტიკა უნდა იყოს უფრო კონკრეტული, ზუსტად მიმართული.

მსგავსად იმისა, რომ ბომბარდირთა კლუბში გატანილი გოლების აღრიცხვა წარმოებს ახალი მონაცემების მიმატებით, აქაც შეიძლება დავაწესოთ კლასიფიკაცია თუ ვინ, როდის, რისთვის და რამდენი სასჯელი დაიმსახურა. ეს უნდა აღირიცხოს არა მარტო ფეხბურთელის უმაღლეს ლიგაში მოსვლის მომენტიდან, არამედ ადრევე, საკავშირო შეჯიბრებებში მისი გამოსვლის დროიდან. ყოველი შემდგომი სანქციის გამოტანა საჭიროა წინანდელ დარღვევათა გათვალისწინებით. გადახრისა აქ არ უნდა გვეშინოდეს, ვინაიდან საქმე ეხება მხოლოდ და მხოლოდ უხეშად მოთამაშე, ტლანქ ფეხბურთელებს. ხომ ყველასათვის ცხადია, რომ ზოგიერთი ასეთთაგანი ეშმაკურად „შეეხამა“ დადგენილ წესებს და სეზონიდან სეზონში მარჯვედ გადადის „ლიმიტირებული“ უხამსობით.

მართალია, ბოლო ხანებში მსაჯთა საკავშირო კოლეგიისა და ფეხბურთის სამმართველოს მცდელობით მსაჯების ხარისხი უმაღლეს ლიგაში რამდენადმე გაუმჯობესდა, მაგრამ დაკმაყოფილება ამით არ შეიძლება.

უხეში თამაში, არასპორტული საქციელი — ეს ტექნიკური ფეხბურთის ძველისძველი, სახიფათო მტრებია და რაც უფრო ჩქარა დავთრგუნავთ მათ, მით უკეთესი, მით უფრო შევუწყობთ ხელს ვირტუოზი ფეხბურთელების აღზრდას.

მიხეილ მესხი.
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

სპარტაკიადამ სტარტი აიღო

ბერლინი. ობერჰოფში გაიხსნა სოციალისტური ქვეყნების მეგობრული არმიების ზამთრის IX სპარტაკიადა, რომელშიც 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობს. ისინი სპორტის 6 სახეობაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს. სპარტაკიადის პროგრამაში პირველად შეიტანეს შეჯიბრება ბობსლეისა და ციგაობაში.

სპარტაკიადას, რომელიც გდრ-ის ზამთრის სპორტის ცენტრში ტორინგიაში მიმდინარეობს, ესწრება მეგობრული არმიების სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტი, გენერალ-მაიორი ვ. გორბატკო. სოციალისტური ქვეყნების არმიელ სპორტსმენთა ეს შეჯიბრება ეძღვნება მეგობრული არმიების სპორტკომიტეტის შექმნის 25-ე წლის თავს.

როგორც მეგობრული არმიების სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა ვ. გერკნერმა განაცხადა, მეოთხედი საუკუნის მანძილზე სპორტკომიტეტმა მოაწყო ზამთრის 8 და ზაფხულის 5 სპარტაკიადა, 400-მდე არმიული ჩემპიონატი ოლიმპიურ და სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში. ყველაფერმა ამან კიდევ უფრო დაუახლოვა ერთმანეთს არმიის მებრძოლები, ხელი შეუწყო მათ ფიზიკურ წრთობას.

სპარტაკიადის ჯილდოების პირველი კომპლექტი გათამაშდა 30 კმ-ზე სათხილამურო რბოლაში. წარმატება ხვდათ საბჭოთა არმიელებს. გამარჯვებულები საპატიო კვარცხლბეკზე ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ: რ. ბაკიევი — 1:31.9,9, ნ. ზიმიატოვი — 1:31.46,6, მ. დევიატიაროვი — 1:32.09,9. მეექვსე იყო ა. ჩაიკო — 1:33.50,3.

საბჭოთა სპორტსმენებმა იმარჯვეს აგრეთვე სათხილამურო ორჭიდში. ს. ჩერვიაკოვმა, რომელიც ლიდერობდა ტრამპლინიდან ხტომაში, 15 კმ-ზე რბოლის შემდეგაც პირველობა შეინარჩუნა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ლ. გლაზირინმა „ბრინჯაო“ დაისაკუთრა, მეორე იყო პოლონელი ს. კავულეკი.

20 კმ-ზე ბიატლონისტთა ასპარეზობაში გაიმარჯვა მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონმა ფ. ულრიხმა (გდრ) — 1:11.20 (4 საჯარიმო ქულა). II-III ადგილებზე გავიდნენ სპარტაკიადის მასპინძლები — მ. იაკობი — 1:12.04(4) და მ. იუნგი — 1:12.46 (5).

ამ დისტანციაზე საბჭოთა ბიატლონისტებს წარმატება არა ჰქონიათ. საუკეთესო იყო ა. ზენკოვი (VI ადგილი) — 1:14.35 (5).

საკდესი.

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

სსრ კავშირის თასზე

დამატებითი პენალტების წყალობით

ხარკოვი. „მეტალისტის“ სტადიონი. 11 მარტი.

„მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 4:3 — დამატებითი პენალტებით. ძირითადი დრო — 0:0.

„მეტალისტი“: სივუხა, კაპლუნი, პოტოჩნიაკი, ბოიკო, კამარზაევი, კუზნეცოვი, გორბიკი, სუხლო, ლინკე, იაკუბოვსკი (საიკოვი), კრამარენკო (პეხეცკი, ბერნიკოვი).

„ტორპედო“: ქანთარია, კოსტავა, ჭილაია, ხიზანიშვილი, კურტანიძე, ჭელიძე, კორღალიძე (ძალამიძე), თავაძე, მეგრელაძე, დარჯანია, ა. კვერნაძე.

მსაჯი ა. მუშკოვეცი (მოსკოვი). გააფრთხილეს ბოიკო, ძალამიძე.

სსრ კავშირის თასის უაღრესად ძნელი მეოთხედფინალური მატჩი ჰქონდათ ქუთაისის ტორპედოელებს გუშინ ხარკოვში, ადგილობრივ „მეტალისტთან“, თამაში დაძაბული, საინტერესო, კრიტიკული მომენტებით აღსავსე გამოდგა. ტორპედოელებმა არაფერი დაუთმეს მასპინძლებს, მთელ რიგ შემთხვევებში „მეტალისტის“ კართან იქმნებოდა სახიფათო სიტუაციები, ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობანი.

90 წუთმა ისე განვლო, ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია წარმატებას. საჭირო შეიქნა დამატებითი ტაიმების დანიშვნა, მაგრამ ამ 30 წუთის მანძილზეც არ გასულა გოლი — 0:0.

საქმე მიდგა დამატებით პენალტებზე. აქ თავი გამოიჩინა ხარკოველთა მეკარემ სიკუხამ, რომელმაც 2 პენალტი მოიგერია, ხოლო ქანთარიამ ერთი თერთმეტმეტრიანის მოგერიება შეძლო. ანგარიშით 4:3 გაიმარჯვა „მეტალისტმა“, რომელიც გავიდა კიდეც თასის გათამაშების ნახევარფინალში.

• • •

გუშინ შედგა მეოთხედფინალის კიდევ ერთი შეხვედრა. ლენინგრადის „ზენიტმა“ თავის მინდორზე ანგარიშით 3:1 დაამარცხა კიევის „დინამო“.

„ბრიტანული ექსპორტი“

დიდი ბრიტანეთის 200 ფეხბურთელი თამაშობს ახლა საზღვარგარეთ — წერს ზაგრების გაზეთი „სპორტსკე ნოვოსტი“. მათგანში ყველაზე მეტი — 58 ჩრდილოეთ ამერიკულ ლიგაში გამოდის. ბრიტანელები მრავლად არიან სკანდინავიის ქვეყნებში და ჰონკონგშიც. გფრ-ის ბუნდესლიგა რომ ბუნდესლიგაა, იქაც კი ორი ბრიტანელი ფეხბურთელი გამოდის.

უხმობენ მიშელ პლატინის

ფრანგი ნახევარმცველი მიშელ პლატინი ცნობილი ფიგურაა საერთაშორისო ფეხბურთში, მან განსაკუთრებით გაითქვა სახელი ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც იგი საფრანგეთის ნაკრებს თავკაცობდა.

მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ იტალიის ქალაქ ტურინის მდიდარმა საფეხბურთო კლუბმა „იუვენტუსმა“ სასწრაფოდ დადო კონტრაქტი ფრანგ ფეხბურთელთან, მაგრამ მ. პლატინი ვერა და ვერ შეეწყო ამ კლუბს. მწვრთნელებს იგი უკან დაწეულ ნახევარმცველად გამოჰყავთ, მ. პლატინი კი მოერიშე ნახევარმცველია და, ამას გარდა, ფრანგი ფეხბურთელი ვერაფრით ვერ შეეგუა უცხოეთს. საქმე იმაზეც მიდგა, რომ „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობამ ტურინში გამოიძახა მ. პლატინის ადრინდელი მწვრთნელი მ. იდალგო საკონსულტაციო საკითხებზე.

ამასობაში საფრანგეთის საფეხბურთო წრეებში სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები იმის თაობაზე, რომ მიშელ პლატინი უნდა დაუბრუნდეს საფრანგეთს, „თქვენი ადგილი საფრანგეთში და ფრანგულ კლუბშია, ეს სურს ყველა ფრანგს“ — ნათქვამია ამას წინათ ტურინში გაგზავნილ წერილში.

ზიკო „ფლამენგოში“ რჩება

რიო-დე-ჟანეიროს კლუბ „ფლამენგოს“ პრეზიდენტმა აუგუსტო დე აბრუნცესმა კატეგორიულად უარყო იტალიური გაზეთების ცნობა იმის შესახებ, რომ გამოჩენილი ფეხბურთელი ზიკო „მილანში“ გადადის. ზიკო, თქვა პრეზიდენტმა, თავის ხელშეკრულებას „ფლამენგოსთან“, ერთი წლის მანძილზე ვერ დაარღვევს. შემდეგ იგი, რა თქმა უნდა, თავისუფალია და თვით მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

უცხოეთის
ფეხბურთის
ამბები

● ძიუდო

მოსწავლეთა რესპუბლიკური

ბათუმში დამთავრდა რესპუბლიკური პირადი პირველობა ძიუდოში 1967-68 წლებში დაბადებულთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 200-მდე მოსწავლე.

წონითი კატეგორიების მიხედვით უძლიერესნი გახდნენ: გ. წიკლაური (დუშეთი, მწვრთნელი დ. გელიაშვილი), გ. მეკოკიშვილი (საგარეჯო, მწვრთნელი ბ. მარიდაშვილი), დ. კაპანაძე (ახმეტა, მწვრთნელი ტ. მათირიშვილი), ლ. შამიაშვილი (ახმეტა, მწვრთნელი გ. აბრამიშვილი), თ. ფიცხელაური (ახმეტა, მწვრთნელი გ. აბრამიშვილი), კ. ამბოკაძე (გორი, მწვრთნელი გ. მურაჩაშვილი), ვ. ჭინჭარაძე (თბილისი, მწვრთნელი ო. ნატროშვილი), ვ. პარუნაშვილი (თბილისი, მწვრთნელი ო. ნატროშვილი).

პრიზი საუკეთესო ტექნიკისათვის დაიმსახურა საგარეჯოელმა გიორგი მეკოკიშვილმა, გამარჯვებისაკენ სწრაფვისთვის — ახმეტელმა ლევან შამიაშვილმა.

მ. ბროძელი,
განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ძიუდოში.

ღირსეული მეტოქენი

დასასრული

მომდევნო პერიოდში — 1978, 1979 და 1980 წლებში ლევიტინამ სსრ კავშირის ჩემპიონის სამი ოქროს მედალი მოიპოვა. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი იგი ჯერ კიდევ 1971 წელს გახდა. შემდეგ ბელგრადის (1977) და მოსკოვის (1979) საერთაშორისო ტურნირებში ისახელა თავი (I-II ადგილები გაიყო). ეს წარმატებები კი თბილისის საზონათაშორისო ტურნირში II ადგილისა და პრეტენდენტის საგზურის მოპოვებით დააგვირგვინა.

ლენინგრადელი მოჭადრაკე ენერგიულად თამაშობს. დამუშავებული აქვს სადებიუტო სისტემები. კარგად ერკვევა პოზიციურ თამაშში, კომბინაციურ გართულებებში. უკვე მეორე ათეული წელია, მას ოსტატი პ. კონდრატიევი წვრთნის.

ლევიტინას თამაშს ახასიათებს ერთგვარი ხარვეზები, კერძოდ, იგი ხშირად ხვდება ცაიტნოტში. საინტერესოა, რომ სწორედ ცაიტნოტში გადაწყდა ნონასთან მისი ერთადერთი მოგებული პარტიის ბედი (სსრ კავშირის 39-ე ჩემპიონატი, თბილისი, 1979). ამ შეხვედრაში მას მართლაც ბედმა გაუღიმა.

დააკვირდით როგორ განსაცდელშია ლევიტინას (თეთრები) მეფე. შამათის გამოცხადება ნონასაგან კონკრეტულ გამოანგარიშებას მოითხოვდა. მას კი ამ დროს მოსაფიქრებლად წამები ჰქონდა დარჩენილი. ნონამ სწრაფად ითამაშა 30. ...ლf5 და 31. მd6 ლ×d3 32. მ×c8 შემდეგ წააგო. პარტიის დამთავრების შემდეგ ნონამ გვიჩვენა ლამაზი ფინალი, რომელსაც სიჩქარეში გვერდი აუარა. აი, ისიც: 30. ...e4 31. ლ×e4 ეge8 32. მ×e8 ე×e8 33. მd4 ლg2+ 34. ლ×g2 ე×e1+ 35. ლf1 ე×f1 შამათით.



ამის შემდეგ გაფრინდაშვილი და ლევიტინა აღარ შეხვედრიან ერთმანეთს. მანამდე მათ სამი პარტია ყაიმით დაამთავრეს.

ნონა გაფრინდაშვილი (3. V. 1941) ქალთა ჭადრაკში მთელი ეპოქაა. მის დამსახურებასა და მოღვაწეობაზე არაერთხელ დაწერილა და კვლავაც დაიწერება. ამიტომ აღარ შევჩერდებით მის საყოველთაოდ ცნობილ წარმატებებზე (ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, ორგზის ევროპის ჩემპიონი, სამგზის სსრ კავშირის ჩემპიონი, საჭადრაკო ოლიმპიადების რვა ოქროს მედლის მფლობელი და ბევრი სხვა). გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ დღევანდელ სწორუპოვარ ნონაზე.

როგორც იცით, ამას წინათ ნონა გაფრინდაშვილს საჭადრაკო ოსკარი მიეკუთვნა. ეს ჯილდო მოჭადრაკე ქალთათვის საჭადრაკო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციამ (აიპე) დააწესა და იგი პირველმა ნონამ დაიმსახურა. შარშან მას ყველაზე საუკეთესო შედეგები ჰქონდა მსოფლიოში.

ნონა კვლავაც ჩინებულად თამაშობს. 1983 წელი მან დაიწყო რეჯიო-ემილიას (იტალია) ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში პირველი პრიზის მოპოვებით.

მდიდარი გამოცდილება, ჭადრაკის სტრატეგიისა და ტაქტიკის ღრმა ცოდნა, ცხოვრებისეული სიბრძნე და კარგი ჯანმრთელობა ხელს უწყობს მის შემოქმედებით ალმაფრენას, რაც თავმოსაწონ წარმატებებში გამოიხატება. აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ ნონას შესაშური სიბეჯითე. იგი მუდამ ზრუნავს საკუთარი ხელოვნების სრულყოფაზე, ახალი სადებიუტო სისტემების ათვისება-დამუშავებაზე. ახლაც, ლევიტინასთან ორთაბრძოლის წინ, თებერვალში, თითქმის მთელი თვის მანძილზე მონდომებით მეცადინეობდა გაგრაში თავის მწვრთნელთან საერთაშორისო ოსტატ ე. უბილავასთან და კონსულტანტ საერთაშორისო ოსტატ გ. ბორისენკოსთან (ტაშკენტი). მართლაც, თავდავიწყებამდე უნდა გიყვარდეს ჭადრაკი, ღრმად გრძნობდე შენს მოწოდებას, რომ ამდენი დრო და სულიერი ენერგია შეალიო მას.

ნონა შემტევი სტილის მოჭადრაკეა. ეს მუდამ ეშხსა და ლაზათს მატებს მის პარტიებს. სწორედ ასეთი თამაში ხიბლავს ირინა ლევიტინასაც, რომელიც აგრეთვე ამ სტილის დიდოსტატია. ყველაფერი ეს მეტად საინტერესო და მწვავე ორთაბრძოლას გვპირდება.

თ. გიორგაძე.

შეხვედრათა რეგლამენტი

მსოფლიო ჩემპიონის მ. ჩიბურდანიძის მეტოქის გამოსავლინებელი პრეტენდენტთა მატჩები, ტრადიციისამებრ, 1983 წელსაც სამ ეტაპად ჩატარდება. ჯერ შედგება ოთხი მეოთხედფინალური მატჩი (გაფრინდაშვილი — ლევიტინა, ალექსანდრია — ლემაჩკო, იოსელიანი— ლიუ შილანი, მურეშანი — სემიონოვა), მერე ორი ნახევარფინალური შეხვედრა (აქ ერთმანეთს შეხვდებიან პირველ ორ და მომდევნო ორ წყვილში გამარჯვებული დიდოსტატები). ბოლოს ფინალური მატჩი (ნახევარფინალებში გამარჯვებულთა შორის) ჩემპიონობის პრეტენდენტს დაასახელებს.

მეოთხედფინალურ და ნახევარფინალურ მატჩებში 10-10 პარტია გათამაშდება, ფინალში — 12. გამარჯვებულად გამოცხადდება ის მოჭადრაკე, რომელიც უფრო ადრე მოაგროვებს შესაძლებელ ქულათა ნახევარზე მეტს. ყაიმის შემთხვევაში დანიშნული ორი დამატებითი პარტია თუ ვერაფერს შეცვლის, გაიმართება კიდევ ორი პარტია და თუ ანგარიში ამ პარტიების შემდეგაც საყაიმო დარჩა, მაშინ უპირატესობა მიეცემა იმ მოჭადრაკეს, რომელსაც მეტი მოგება ექნება შავებით. თუ ამ მოგებათა რაოდენობაც თანაბარი აღმოჩნდება, მაშინ გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც შავებით მოიგებს ბოლო პარტიას. თუ შავებით მოგება არც ერთ მეტოქეს არ აღმოაჩნდება, მაშინ მატჩში გამარჯვებულს კენჭისყრა „დაასახელებს".

პარტიაში თითოეულ მეტოქეს პირველ 40 სვლისთვის 2 საათი და 30 წუთი მიეცემა, მომდევნო 20 სვლისთვის თითო საათი, დროის დაგროვებით.

მოჭადრაკეები კვირაში ოთხ პარტიას გაითამაშებენ. ყოველ მეორე დღეს დამთავრდება გადადებული პარტია. თითოეულ მოჭადრაკეს თითო პარტიის გაცდენის უფლება აქვს.

კასპაროვის მეორე მოგება

ერთდღიანი შესვენების შემდეგ, 9 მარტს გ. კასპაროვ —ა. ბელიავსკის მატჩში ბრძოლა განახლდა. გათამაშდა მეხუთე პარტია.

მეტოქეებმა, როგორც პირველ პარტიაში, ლაზიერის გამბიტი გაითამაშეს. მე-12 სვლაზე კასპაროვმა ახალი გაგრძელება გამოიყენა და ბელიავსკი რთული ამოცანების წინაშე დააყენა. ლვოველ დიდოსტატს მოსალოდნელი იერიში უნდა უვნებელეყო, მაგრამ სწორ გეგმას ვერ მიაგნო და ლაზიერი სამ ფიგურაში დათმო. ცაიტნოტშიც მოხვდა, მაგრამ კონტრიერიში მაინც ვერ ააწყო. კასპაროვმა ცენტრალური პაიკების წინსვლით ადვილად მოსაგები პოზიცია შექმნა. 39-ე სვლაზე ბელიავსკიმ მას გამარჯვება მიულოცა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ კასპაროვმა ამ პარტიის თამაშს 50 წუთი მოანდომა, ბელიავსკიმ— 2 საათი 29 წუთი.

ამრიგად, კვლავ კასპაროვი დაწინაურდა — 3:2.

გთავაზობთ, მატჩის მეხუთე პარტიას.

კასპაროვი — ბელიავსკი

ლაზიერის გამბიტი

1. d4 d5 2. c4 e6. 3. მc3 მf6 4. c×d5 e×d5 5. კg5 კe7 6. e3 h6 7. კh4 0—0 8. კd3 b6 9. მf3 კb7 10. 0—0 c5 11. მe5 მbd7 12. კf5 მ×e5 13. d×e5 მe8 14. კg3 მc7 15. ლg4 ლe8 16. კd7 ლd8 17. ეad1 h5 18. ლh3 h4 19. კf4 კg5 20. კf5 g6



21. მe4 კ×f4 22. e×f4 g×f5 23. ლ×f5 d×e4 24. ლg4+ მფh7 25. ე×d8 ეf×d8 26. ლ×h4+ მფg8 27. ლe7 e3 28. ეe1 e×f2+ 29. მფ×f2 ეd2+ 30. ეe2 ე×e2 31. მფ×e2 კa6+ 32. მფf2 მe6 33. f5 მd4 34. e6 ეf8 35. ლg5+ მფh7 36. e7 ეe8 37. f6 მe6 38. ლh5+ მფg8. შავები დანებდნენ.

პანორამა

● ფიგურული ციგურაობა

ლენინგრადელი წყვილი — ი. ვალოვა და ო. ვასილიევი მხოლოდ თებერვალში გაიცნო სპორტის მოყვარულთა ფართო აუდიტორიამ, როცა მან დასავლეთ გერმანიის ქალაქ დორტმუნდში ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მოიპოვა. ახალბედებმა წარმატება გაიმეორეს ამ დღეებში. ამჯერად ელენემ და ოლეგმა ოქროს მედლები დაისაკუთრეს მსოფლიო პირველობის სარბიელზე. ჰელსინკის ყინულზე 17 სპორტული წყვილი იბრძოდა ჩემპიონის წოდებისათვის. მათ შორის იყვნენ შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონებიც გდრ-დან ს. ბესი და ტ. ტირბახი, მაგრამ ლენინგრადელებმა არავის დაუდეს ტოლი და გაიმარჯვეს. მეორე ადგილზე არიან ბესი და ტირბახი, მესამეზე — კანადელები ბარბარა ანდერხილი და პოლ მარტინი.

მოსკოველი სპორტსმენები ვ. პერშინა და მ. აკბაროვი მეხუთე ადგილზე გამოვიდნენ, მ. პესტოვა და ს. ლეონოვიჩი — მეექვსეზე.

ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონის მესამე ოქროს მედალი მოიპოვა ზედიზედ ამერიკელმა სკოტ ჰემილტონმა. „ვერცხლი" გფრ-ის წარმომადგენელ ნ. შრამს ერგო, „ბრინჯაო" კი კანადელ ბ. ორსერს.

სსრ კავშირის ჩემპიონი ა. ფადეევი მეოთხე ადგილზეა, მისი თანაგუნდელი ვ. კოტინი — მეცხრეზე.

● ხელბურთი

მინსკში დაიწყო უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების ფინალური ტურნირი. გაგაცნობთ ტექნიკურ შედეგებს: ცსკა — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) 30:29, ასკ (მინსკი) — „კუნცევო" 30:27, ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — „გრანიტასი" (კაუნასი) 31:29, ინდუსტრიული ინსტიტუტი — საავიაციო ინსტიტუტი 30:23, ცსკა — „კუნცევო" 35:24, „გრანიტასი"— ასკ (მინსკი) 30:30, ცსკა — „გრანიტასი" 30:30, საავიაციო ინსტიტუტი — „კუნცევო" 25:24, ასკ (მინსკი) — ინდუსტრიული ინსტიტუტი 23:23.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 მარტისთვის

I-VI ადგილები

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	19	4	2	728—613	42
ასკ (მნ.)	15	7	3	737—629	37
ინდ. ინსტ.	16	2	7	665—592	34
საავ. ინსტ.	15	2	8	695—663	32
„კუნცევო"	12	2	11	694—676	26
„გრანიტ."	11	4	10	711—692	26

● კალათბურთი

იტალიის ქალაქ კომოში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალურ ტურნირში ცსკა-ს კალათბურთელები დამარცხდნენ „ფორსდთან" 73:106 (36:51).

ესპანეთის საკურორტო ქალაქ პალმა დე მალიორკაში შედგა ფინალური მატჩი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე. იტალიის „სკავოლინი" შეხვდა საფრანგეთის „ასველს". გაიმარჯვეს იტალიელებმა 111:99 (52:50). გამარჯვებულთა შორის თავი გამოიჩინა ამერიკელმა სილვესტერმა და იუგოსლაველმა კიჩანოვიჩმა, რომლებმაც შესაბამისად 31 და 30 ქულა შესძინეს იტალიელებს.

დასავლეთ ბერლინში გაიმართა კორაჩის თასის ფინალური შეხვედრა ფრანგულ კლუბ „ლიმოჟსა" და იუგოსლავიის „შიბენკას" შორის. გაიმარჯვეს ფრანგებმა 94:86 (45:42). ისინი მეორედ დაეუფლნენ თასს. გამარჯვებულთა შორის თავი ისახელეს მიურფმა (34), ფაიმ (18) და მოსიმ (17). ხოლო მეტოქეთაგან სარიჩმა (24), ლიუბოევიჩმა (30) და პეტროვიჩმა (12).

● მაგიდის ჩოგბურთი

კვლავ იუგოსლაველები

ევროპული ლიგის პირველობის დასკვნით ტურში ასეთი შედეგები აღინიშნა: პოლონეთი-უნგრეთი — 4:3, დანია-ჩეხოსლოვაკია — 1:6, შვეცია-იუგოსლავია — 4:3, ინგლისი-გფრ — 1:6.

იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელებმა 6-6 გამარჯვებით დაამთავრეს შეჯიბრება. მათ მოგებული და წაგებული შეხვედრების სხვაობაც ერთნაირი აქვთ — 34-15 და ამიტომ გამარჯვებული მოგებული პარტიების მიხედვით გამოვლინდა, სადაც უპირატესობა იუგოსლაველთა მხარეზე აღმოჩნდა და მეორედ ზედიზედ მათ მიეკუთვნათ პირველობა. მესამე ადგილი კი, ხუთი გამარჯვებით, შვედმა სპორტსმენებმა მოიპოვეს.

აჩუქეთ ცოლებს „სპორტლოტო"

სპორტლოტოს ექვსი შევსებული ბარათი აჩუქა ცოლს სარვამარტოდ აშხაბადელმა პ. კოლესნიკოვმა. ერთ-ერთ მათგანში ყველა ექვსი ციფრი სწორად იყო გადახაზული, დანარჩენებში ხუთხუთი. საერთო ჯამში ქმრის ნაჩუქარმა თანხამ 19 ათას 293 მანეთი შეადგინა. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ეს ყველაზე დიდი მოგებაა თურქმენეთში.

ო. კვიატკოვსკი.

აშხაბადი.

გაზეთი „ტრუდი".

ვინ რამდენი?

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 5 მარტს გამართული „სპორტლოტოს" X ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: ექვსი ციფრის გამოცნობისთვის (2 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ხუთისთვის (55 ბარათი) — 1494, ოთხისთვის (1987 ბარათი) — 42, სამისთვის (32697 ბარათი) — 3.

„სპორტლოტო 5 36"-დან: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (13 ბარათი) მოგება აქაც 10 000 მანეთია, ოთხისთვის (2512 ბარათი) — 149, სამისთვის (85398 ბარათი) — 7.

მოგებული თანხის განაღდება — 16 მარტიდან 16 აპრილის ჩათვლით.

ლ. სამხარაძის წარმატება

ამ დღეებში რიბინსკში გაიმართა სპორტსაზოგადოება „დინამოს" შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი „ნორჩ დინამოელთა" ზამთრის მეორე საკავშირო სპარტაკიადა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ფიგურულ სრიალში, თბილისის 162-ე სკოლის მერვეკლასელმა მოსწავლემ ლია ხამხარაძემ (მწვრთნელი ლ. დოლიძე) ერთეულთა თანრიგში სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა.

დევისის თასზე

დევისის თასის გათამაშების უმაღლესი ლიგის სასტარტო შეხვედრებში, სადაც 16 გუნდი იბრძვის საპატიო პრიზის — „ვერცხლის სალათის" მოსაპოვებლად, ორი მოულოდნელობა მოხდა. პირველი ის გახლავთ, რომ თასის შარშანდელი მფლობელი აშშ-ს გუნდი ბუენოს-აირესში დამარცხდა არგენტინის ჩოგბურთელებთან — 2:3 და გამოეთიშა ასპარეზობას.

მარცხი იწვნია ფავორიტმა — ჩეხოსლოვაკიის გუნდმაც, რომელსაც სათავეში ედგა მსოფლიო ჩოგბურთის ლიდერი ივან ლენდლი და დათმო შეხვედრა სტუმრად პარაგვაის გუნდთან — 2:3. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა წყვილთა ბრძოლას, რომელიც ლენდლმა და ტ. შმიდმა ვ. პეჩსა და ფ. გონსალეს დაუთმეს — 4:6, 4:6, 4:6.

ავსტრალიელებმა დამაჯერებლად სძლიეს ინგლისელებს — 4:1, ხოლო რუმინელებმა ჩილის გუნდს — 5:0. ასეთივე შედეგით აღინიშნა შვეცია — ინდონეზიისა და ახალი ზელანდია — დანიის ასპარეზობა. იტალიელებმა კი 3:2 მოუგეს ირლანდიელებს.

მეოთხედფინალურ მატჩებში, რომელიც გაიმართება 8-10 ივლისს, ერთმანეთს შეხვდებიან: საფრანგეთი — პარაგვაი, ავსტრალია — რუმინეთი, ახალი ზელანდია — შვეცია, არგენტინა — იტალია.

(საკდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. სა-

უა 06268